ISSN 0132-6015

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიანგი

17
სექტემბერი
1990



— მაინც უშვებ ცოლს თურქეთში, ხომ?!
— რა ვქნა, ატეხილია და თავისას არ იშლის!..
— ატეხილი თუა, მაშინ კი უნდა გაუშვა!..

ნიაზ ლემონჯავა

ვანგრევთ თუ ვაშენებთ?

პამფლეტი

ფერების გარჩევაში რომ მოვიკოჭლებ და დალტონიკი რომ ვარ, ამას, რა თქმა უნდა, სიხარულით არ ვაცხადებ. სხვა მხრივ, დამერწმუნეთ, მხედველობას არ ვუჩივი. მაგალითად, კარგად ვხედავ, თუ როგორ გადაქანდა გვერდზე სოციალისტური სისტემა და როგორ განაგრძობს პიზის კოშკივით დღესაცვარდნას!.. თუ არ გჯერათ, აგერაა, ცხვირწინ, აღმოსავლეთ ევროპა, ნახეთ თვითონ და რასაც დაინახავთ, მაგასაც ვნახავ! ზღაპრული ენერგიის მქონესა და ინტრიგების გაუგონარი ნიჭით დაჯილდოებულ ერთ დიდ ქართველს საბოლოოდ რომ დაბრალდა სოციალიზმის გარყვნა-გაუბედურება და ის ამ ბრალდებისაგან თავს ვერ დაიძვრენს ამ მთავრობის ხელში, ამასაც ძალიან კარგად ვხედავ! ჩვენი „რკინის სერგო“ და ჩვენი ილიჩი ერთმანეთის მიყოლებით კვარცხლბეკებიდან ძირს რომ ჩამოაბრძანეს, არც ეს გამოპარვია ჩემს დასამიწებელ თვალებს და რა ვქნა ახლა?! კარგად დავინახე და, ალბათ, არც არასოდეს დამავიწყდება ისიც, თუ როგორ ცდილობდნენ სახალხო დეპუტატთა პირველ ყრილობაზე გასახმობი ფეხების ბრახუნითა და სტვენით სახაროვის გაჩუმებას და როგორი ტაშითა და ოვაციებით შეხვდნენ როდიონოვის მზაკვრულ სიტყვას! დანახვით არ დამინახავს, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ როდიონოვს, როცა ის ტრიბუნასთან მივიდა, მუნდირის ქვეშ, ქამარში, აუცილებლად ექნებოდა ნიჩაბი გარჭობილი! ნიჩაბი თუ არა, ჯიბეში რამდენიმე ცალი „ჩერიომუხა“ და „სი-ეს“-ი მაინც ექნებოდა! ისე, კაცმა რომ თქვას, არაა გასაკვირი ამაში არაფერი — ახალგაზრდობიდანვე საჭურველს მიჩვეული კაცი, ისიც ისეთ დარბაზში, სადაც მტერიც ბლომად ეგულებოდა, მთლად შეუიარაღებელი ხომ არ მოვიდოდა?! ეს მხოლოდ ჩემი ვარაუდია და ნუ მიწყენენ სამხედროები, თუ ამას ხმამაღლა ვაცხადებ! ტალონებისა და ლოზუნგების ქვეყანა ამ ბოლო დროს გაუთავებელმა მიტინგებმა, დემონსტრაციებმა და გაფიცვებმა რომ მოიცვა, ამას, ალბათ, ჩემსავით თქვენც კარგად ხედავთ და ამიტომ ამაზე ბევრი ლაპარაკით თავს აღარ შეგაწყენთ! არც იმაზე მინდა დიდხანს გესაუბროთ, თუ რა საშინელი სანახავი ყოფილა ძირმომპალი კაპიტალიზმის ფონზე გაშიშვლებული სოციალიზმი! მე ახლა ის უფრო მაინტერესებს გავიგო, კიდევ რამდენი საფლავის მოთხრა, ძეგლის ჩამოგდება და პარტიული ბილეთის დაწვა-დახევაა საჭირო, რომ დაგვიხვავდეს ბარაქა და ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს?! თუ ვინმეს შეუძლია ამ საკითხთან დაკავშირებით ზუსტი ციფრის დასახელება, უმორჩილესად ვთხოვ, გამაგებინოს, თორემ ვერ გამიგია, დავწვა თუ დავიტოვო ნაღდ ანგარიშზე შეძენილი პარტიული ბილეთი? რომ გვეუბნებოდნენ, სოციალიზმი კარგა ხანია გავიარეთ და ახლა კომუნიზმში შევდივართო, სულ ტყუილი ყოფილა ეს ამბავი! ამას ახლა მეც ვხვდები და ვხედავ! დამოუკიდებელი რომ გვეგონა ვითომ საქართველო და ჭურში რომ ვმსხდარვართ ეს სამოცდაათი წელი, ეგეც ყველაზე კარგად დღეს დავინახე! ჭურიდან ამოფორთხებულებმა მაშინვე ნამდვილი დამოუკიდებლობა რომ მოვითხოვეთ და ამის გამო ჩვენმა უფროსმა ძმამ აფხაზი, ოსი და თათარი რომ მოგვისია, ამას, მე მგონი, თქვენც კარგად ხედავთ! კი, შეიძლება ახლა ბევრ ვინმეს არ მოსწონდეს, ასე თვალებდაჭყეტილები რომ ვართ და ეროვნულ დროშებსაც ცხვირწინ რომ ვუფრიალებთ, მაგრამ რა ვქნათ, სულ თვალდახუჭულები და სულ ჭურში ხომ არ ვიქნებოდით?! ღმერთმა იმისთვის მოგვცა დანახვის უნარი, რომ ერთ მშვენიერ დღეს ხრამში არ გადავცვენილიყავით და მტერი და მოყვარე ერთმანეთისაგან გავვერჩია! დავინახეთ, ბატონო, როგორც იქნა, რომ ძველებურად ცხოვრება აღარ შეიძლება, ამიტომ აწი მაინც ვიაროთ ასე თვალდაჭყეტილებმა და, რასაც დავინახავთ, ვუთხრათ პირში ერთმანეთს, დროზე მივხედოთ ჩვენ-ჩვენს საკეთებელ საქმეებსაც, თორემ შეიძლება მოვიდეს ვინმე ოხერი და დაგვივსოს ისევ თვალები! ცოტა მეტი რომ ავჩქარდეთ, ის დროა სწორედ! ვხედავ ჩვენი უფროსი ძმის ბრიყვულ გაჯიუტებასაც, ვხედავ და გამკვირვებია მისი საქციელი — გვერდიდან აღარ გვიშორებს ეს მამაცხონებული, თან დღენიადაგ იმაზე გვეწუწუნება, რომ გავყვლიფეთ და გავუნიავეთ ბეღელი!.. არ არის ეს მართალი, მაგრამ თუ მას მაინც ასე ჰგონია და სჯერა, გაგვიშვას, ბატონო, ჩვენს გზაზე და გვიყუროს ერთი, მოვიტეხთ თუ არა კისერს და გაევსება თუ არა ბეღელი! მთავრობასა და ხალხს შორის ამ ბოლო დროს საშინელმა უფსკრულმა რომ დააღო პირი და მისი ნაპირებიდან ერთმანეთს მუშტებს რომ ვუქნევთ, ამასაც კარგად ვხედავ! მთავრობა რომ იქიდან გვიყვირის, — ემანდ ცოტა ჭკუით იყავით, თორემ მოვალთ და გაჩვენებთ, რა მაგარი ბიჭებიც ხართო! — ამასაც ჩემი თვალებით ვხედავ და მესმის! ერთი სიტყვით, დღეს ამდენი რამის დამნახავს და ისიც ერთბაშად, ვერ გამიგია ბოლომდე კარგად, რა ხდება ჩვენს თავზე?! ვერ გამიგია და, — მომკალით ახლა თუ გინდათ, — ვანგრევთ თუ ვაშენებთ სოციალიზმს? ზოგი რიხით აცხადებს, — ვაშენებთო, ზოგი — ვარემონტებთო, ზოგი გვარწმუნებს, — გულის გადანერგვის ოპერაციას ვუკეთებთო, ზოგი კი გვიკიჟინებს, — არიქა, გამოეცალეთ, სოციალიზმი თავზე გვექცევაო! მიდი და გაიგე ახლა, რომელია ამათ შორის მართალი! ძალიან ძნელია, დღეს კაცმა იწინასწარმეტყველო, სოციალიზმი ფეხებს გაფშეკს თუ გადაიტანს იმ მძიმე ოპერაციას, რომელსაც, როგორც ზოგიერთები გვარწმუნებენ, დღეს უკეთებენ! ღმერთმა ნუ ქნას, ფეხები გაფშიკოს, თორემ ხომ აყროლდება ჩვენთანაც კაპიტალიზმი და რა გაუძლებს მერე სიმყრალის სუნს?! ერთი სიტყვით, თუ კიდევ რაიმე დავინახე ჩვენი ყოფისათვის უჩვეულო, ისეთი, როგორიც, ვთქვათ, პირველ მაისს მოსკოვში წითელ მოედანზე მოხდა, აუცილებლად შემოგეხმიანებით!

ნახ. გ. ლომიძისა



— კრებებსა და თათბირებს აღარ ატარებთ, რაიკომში და სამინისტროში აღარ გეძახიან, ტელეფონთან გთხოვენ და, რა ვუპასუხო, სად ბრძანდებით?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველი ანდაზები და გამოცანები თანამედროვე ინტერპრეტაციით

რასაც დათესავ, იმას მოიმკი! — ვალუტით ნაყიდი ხორბალი.

—:—:—

ყვავს არ ჰქონდა, ბუს გაჰქონდა. — დავეხმაროთ კუბას!

—:—:—

ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს! — გარდაქმნა.

—:—:—

შეაყარე კედელს ცერცვი! — ყრილობის აგრესიულად მორჩილი უმრავლესობა.

—:—:—

ეგრე არ არის თაყაო, შენ რომ მამული გაყავო! — ბოლშევიკებისაგან დაქუცმაცებული და გაყიდულ-გაჩუქებული საქართველო.

—:—:—

გარეთ ატლასი, შიგნით ათასი. — სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი.

—:—:—

ასი, ასი, ასლამაზი, ასი კაბა აცვია. — კომბინატორის ცოლი.

სანამ პეტრე მოვიდოდა, პავლეს ტყავი გააძვრეს. — კომუნიზმის ყლორტები.

—:—:—

საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს! — ცეკავშირის მალაზია.

—:—:—

რაც არ გერგება, არ შეგერგება! — მარცვლოვანი ხიზილალა.

—:—:—

ააფრინე ალალი, რაც არ არი, არ არი! — ტალონები დაგვირიგეს, პროდუქტები არ არი!

—:—:—

ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყო. — ცხრა ტონა თხილის გული ერთმა თავმჯდომარემ წაიღო.

—:—:—

შენ ვინ გკითხავს, ბალი ათი შაურიაო?! — ეხ, ნეტა იმ დროს!

—:—:—

თავის ქება კიტრად არა ღირს! — თავის ქება კიტრად ღირს!

დემეტრე ოთარაშვილი

გიორგი გოლეთიანი

ქორწილი

იუმორესკა

კვირა დღე იყო. ცირა — უკვე ორმოცდაათს მიტანებული და წელშიც ოდნავ მოხრილი ქალი — ზარის გამუდმებულმა წკრიალმა გამოაღვიძა!... იგი უცებ წამოდგა, ასევე სწრაფად ჩაიცვა და კარი გააღო. ფოსტალიონი რომ დაინახა, ფერი ეცვალა, გააყრუოლა რაღაც შემაშფოთებელი ამბის მოლოდინში. მაგრამ მცირე პაუზის შემდეგ, დეპეშა რომ გადაიკითხა, შეჰკივლა:

— ქორწილია! ქორწილია!

ტკბილ-ტკბილსა და მარგალიტებივით ლამაზ სიტყვებსა და წინადადებებს ცირა ალტაცებით ისროდა და უცებ ისე დატრიალდა, გეგონებოდათ „ქართულს“ უვლისო.

სიხარულის ტალღამ რომ გადაუარა, ცირამ ჩაუჩურთა ფოსტალიონს სამმანეთიანი და თან დააყოლა:

— მუდამჟამ გეტარებინოს ბედნიერების მაუწყებელი ამგვარი დეპეშები, ჩემო კარგო!

შვილის მოულოდნელმა გაბედნიერებამ დინჯ და აუჩქარებელ ცირას ენა ერთბაშად გაუხსნა, აალაპარაკა. ნანატრ ქორწილზე მან კარის მეზობელს — ქეთინოს ახარა. ამ უკანასკნელის მეშვეობით კი ახალმა, ბედნიერების მაუწყებელმა ამბავმა ჯერ ზემო, ხოლო მერმე ქვემო სართულებზე გადაინაცვლა. ასე რომ, შებინდებისას თექვსმეტსართულიანი სახლის უკლებლივ ყველა მობინადრემ უკვე კარგად იცოდა, რომ მირიანე ცოლს თხოულობდა და რომ მომავალ შაბათს ქორწილიც კი იყო დანიშნული. თუმცა აქა-იქ ორლესული ღიმილიც ისმოდა: „მირიანე და ცოლი?! სამასხროდ მოგცლიათ და ეგაა!“

— ისეთი ზარ-ზეიმი უნდა გავმართო, შენი მოწონებული! — წაიტრაბახა ცირამ და ქორწილის დღე — შაბათი თვალწინ დაუდგა: აი, მიქრის მცხეთისკენ თოჯინებითა და წითელ-წითელი ბაფთებით მორთული მანქანები, ხოლო ირგვლივ გაისმის ალტაცების შეძახილები სანუკვარი და წმიდათაწმიდა სიტყვებისა — „ქ ო რ წ ი ლ ი ა! ქ ო რ წ ი ლ ი!“

— ერთი დაობლებული, სიღარიბეში გაზრდილი ვაჟიშვილი გყავს და ხავავრიელი ქორწილი უთუოდ ეკუთვნის! — დაუკრა თავი მეზობელმა.

ცირამ გაიხედ-გამოიხედა და შეგონებით წარმოთქვა:

— ისე კი, რომ არ აჩქარებულიყო, ნამდვილად აჯობებდა: ქორწილს შემოდგომა უხდება, შემოდგომა აძლევს მას ლაზათსა და მშვენებას!

— რას მიედებ-მოედები, ცირა?! კაცმა 35 წელი მოიტოვა უკან, როგორც იქნა, თვალი ქალისკენ გაექცა, გული აუძგერდა და ახლა, თუ ქალი ხარ, ნუ დაიწყებ წუწუნს! ვერ ხედავ ჩვენს გასაჭირს?! მითხარი ერთი, რით არის დასაწუნი ჩვენი თალიკო კოპლატაძე?!

— არაფრით! თუმცა სულ მალე კი!.. — ქეთინოს თვალები აცაბაცად გაექცა, დაიხარა და სინანულით წარმოთქვა: — ოცდაცხრამეტისა სრულდება, ნამდვილი შინაბერაა და სად გაექცევი?!

გულჩაწყვეტილმა ქეთინომ ღრმად, სევდიანად ამოიხვნეშა და ელიზბარს მიაშტერდა:

— აბა, ერთი, თუ კაცი ხარ, შენს თვალაპყრობილ შალვა ეძგვერაძეს აკლია რამე?

ქეთინომ გაზეთი გაშალა და გაბზარული ხმით თქვა:

— ნახეთ! ნახეთ! რა დიდებული და გულის ამაჩუყებელი ლოზუნგებია! — გ ა მ რ ა ვ ლ დ ი თ! გ ა ა ჩ ი ნ ე თ შ ვ ი ლ ე ბ ი ო! მერე?! შალვასა და თალიკოს შემხედვარე გამრავლდება ერი?! შენც არ მომიკვდე!

— იცი, რა? — უცბად შეაწყვეტინა მას ქეთინომ, — ხმა დაირხა, რომ ჩვენს სასიქადულო მეცნიერებს ხელოვნური ჩასახვის მეთოდი გამოუგონებიათ! იქნებ ამან გვიშველოს?

— უიმე, ეს რა მითხარი?! — კინაღამ გული წაუვიდა ცირას, — სხვა რა ვარგა ხელოვნური, ეს საქმე რომ გამოდგეს?! არა! არა! შენი ჭირიმე, ღმერთმა დაგვიფაროს! ხომ გაგიგონიათ, ნუ დაკარგავ ძველსა გზასაო!..

ზოგიერთმა საკითხს ფილოსოფიური თვალთახედვითაც გადახედა. ამ მხრივ გვანჯი სორიამ გამოიდო თავი:

— ოხ, რა დანაშაულს ჩადიან ეს გამოთაყვანებული, მართლაც რომ დაკოდილი მოზვრები და ბერწი შინაბერები! იქნებ შთაუნერგოთ ამ უგერგილოებს ერთი რამ: შეუქმნია თურმე მაღალ ღმერთს ადამი და ევა და თან დაუყოლებია: — აწი კი თვითონ მიხედეთ თქვენს თავს და გამრავლდითო! მაგრამ გინდ ასე თქვი, გინდ ისე, — ეს ვაჟბატონები და შინაბერები თავს არხეინად გრძნობენ და ქვეყნის ინტერესები ფეხებზე დაუკიდიათ!..

ერთხელ, როცა ქორწილისათვის მზადება ბოლო, შემაჯამებელ ფაზაში შედიოდა, ცირასთან ბათუმელი ტანბრგე ბიჭი გამოცხადდა და მირიანეს გამოგზავნილი წერილი გადასცა.

— როგორ არის, როგორ?! — წამოიძახა ცირამ და აკანკალებული ხელებით კონვერტიდან მოკლე ბარათი და სურათი ამოიღო.

— კაჟივითაა! სიძეს რომ შეშვენის, სწორედ ისეა! — უპასუხა ახალგაზრდამ.

— ახლა კი ამ პატარძალზე გვიამბე რამე! — დაინტერესდნენ ცირას მეზობლები.

— სიმართლე გითხრათ, მისი ავანჩავანი მირიანემაც არ იცის, — დარდიმანდულ კილოზე თქვა ახალგაზრდამ და სურათის კუთხეში მინაწერზე მიუთითა: „სიყვარული ერთი შეხედვით. მირიანე“.

მინაწერმა ჩოჩქოლი გამოიწვია: ზოგი მირიანეს აზრს დაბეჯითებით იცავდა, ზოგი კი ასევე მხურვალედ — საწინააღმდეგოს.

— რა აბდაუბდას მიედებით, ბიჭებო?! — გული მოუვიდა იროდის, — არ გახსოვთ, არიადნას ერთმა გამოხედვამ როგორ გადარია ჩემი გიზო?! მაგრამ, ხომ გაგიგონიათ, ყველაფერი გამოდგომაზეაო!..

— რას ამბობ, კაცო?! რის გამოდგომა, რა გამოდგომა?! ცოლი მაცივარია, ტელევიზორი თუ რადიომიმღები, გამოდგომაზე რომ ვილაპარაკოთ?!

მოულოდნელად მოვლენები ელვისებური სისწრაფით განვითარდა.

შვიდი სრულდებოდა, როცა ცირას ბათუმელი დეიდაშვილი მარგალიტა ეწვია და, მისალმების მაგივრად, ხმამაღლა შესძახა:

— რას ჩადიხართ, ხალხნო, რას?! ნუთუ ვერ ხედავთ, რა უბედურება დატრიალდა ჩვენს თავზე?!

— რაშია საქმე, რა მოხდა?! — აწრიალდნენ აფორიაქებული მეზობლები.

— რა და, მირიანე თავის მკვიდრ ბიძაშვილს თინა მოდებაძეს თხოულობს! თქვენ კი... ტაშს უკრავთ, ქორწილს ამზადებთ!..

ყველაფერი ერთბაშად აირია, ახმაურდა!..

— ეს რა შხამი და საწამლავი ჩამოგვიტანე?! — მიაძახა ცირამ, პირჯვარი გადაიწერა და ცრემლები წასკდა.

ჩოჩქოლი და შეძახილები არ შენელებულა დიდხანს. ზოგი მხრებს იჩეჩავდა, ზოგი მოთქვამდა, ზოგი მამაზეციერს ევედრებოდა, — თავს ნუ მოგვჭრი და სირცხვილს აგვაცდინეო!..

ცნობისმოყვარეობამ ყველა დამსწრე მოიცვა, მარგალიტამ კი ზუსტად, მაგრამ დარცხვენით აღადგინა მკვიდრი ბიძაშვილების უჩვეულო ურთიერთობის 20 წლის ისტორია.

ყველამ ყური ცქვიტა, მარგალიტამ კი ცრემლები შეიშრო და მღელვარებით დაიწყო:

— სილიბისტრო მოდებაძეს, მაშინ ინსტიტუტის ახალბედა ასისტენტს, რომ იტყვიან, ღმერთმა გაუღიმა: მოულოდნელად მას ახალი სალექციო კურსის წაკითხვა შესთავაზეს. სილიბისტროც არ შედრკა, ხელები დაიკაპიწა და სალექციო კურსის მომზადებას შეუდგა. ენაგადმოგდებული დარბოდა იგი ბიბლიოთეკებში საჭირო ლიტერატურის შესაგროვებლად. საღამოსთვის მოუყარა თავი ნაირ-ნაირ მასალას და წერას შეუდგა, მაგრამ ვინ აცალა? — კარი გაიღო და ბიძაშვილი ეწვია!..

თვალის დახამხამებაში გაიშალა სუფრა. ვისზე და რაზე არ ითქვა სადღეგრძელოები. გვარიანად რომ შეზარხოშდნენ, კონსტანტინემ ვერცხლით მოჭედილი ყანწით პაპების სადღეგრძელო შესვა და ალტაცებით შესძახა: — ალავერდი სილიბისტროსთან!

სილიბისტრო გაირინდა. გონს რომ მოვიდა, ბოდიში მოიხადა და სადღეგრძელო ღვინის ჭიქით აუჩქარებლად შესვა.

— პაპების სადღეგრძელოს სათითურით სვამ?! ვაი, ასეთ შთამომავლობას! — მიახალა კონსტანტინემ.

— სამაგიეროდ, გულით შევსვი, ესაა მთავარი! — თქვა სილიბისტრომ.

— ნურას უკაცრავად! ყანწი უნდა დაიცალოს, ყანწი! — უბრძანა კონსტანტინემ.

— ტიკჭორა ხომ არა ვარ, ბიჭო?! ლამის მუცელი გამისკდეს! — იმართლა თავი სილიბისტრომ და უცბად საუბრის თემა შეცვალა: — ახლა კი, თუ ძმა ხარ, საქმეს მივხედოთ: ხვალ რთული ლექცია მაქვს ჩასატარებელი. თუ არ მოვემზადე, ჩავფლავდები, გავილანძღები!.. ახლა კი მე ამ წიგნებში ჩავრგავ თავს, შენ კი ჩემს ბიბლიოთეკას გადახედე! ოხ, რა წიგნები შევიძინე, ჭკუაზე შეიშლები! მარტო ს ა ხ ა რ ე ბ ა რად ღირს!

— რაო?! რაო?! — იფეთქა კონსტანტინემ, — სამუშაოდ მგზავნი ბიბლიოთეკაში?! დისერტაციის თემას ხომ არ შემირჩევდი ბარემ?!

კამათი ცხარე გამოდგა. კონსტანტინე გაიძახოდა: „სანამ სული მიდგას, შენთან ჩამომსვლელი არა ვარო!“ არც სილიბისტრო დარჩა ვალში: „კუბოთი თუ შემომიტანენ შენთან, თორემ ჩემი ფეხი შენს ზღურბლს არასოდეს გადმოაბიჯებსო!“

ასე გადაეკიდნენ ერთმანეთს მკვიდრი ბიძაშვილები, შეურიგებელ მტრებად იქცნენ მათი ცოლები, შვილები და, წარმოიდგინეთ, შვილიშვილებიც!..

და, აი, რამდენიმე წლის შემდეგ შემთხვევამ დაუკავშირა ერთმანეთს ორი უცნობი არსება — მირიანე და მარინე. მაგრამ, ვაი, ასეთ დაკავშირებას!

შალვა მიშველაძე

რემონტი

ფელეტონი

ახალი ბინის მიღება რომ დიდ სიხარულს იწვევს განვითარებული სოციალიზმის პირობებში მცხოვრებ საბჭოთა ადამიანში, ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია! ვინაიდან მეც საბჭოთა ადამიანობა მხვდა წილად და ჩემი წვლილი შემაქვს იმ „დიადი მიზნის“ განხორციელებაში, კომუნიზმის შენება რომ ჰქვია, არც ჩემი შემთხვევა ყოფილა გამონაკლისი და მთელი კვირა ჩემი თავი ოთხოთახიანი ბინის აივანზე გამოჰიმული მესიზმრებოდა!.. განელდა პირველი სიხარული და ახლობელთა მილოცვებსაც გამოუჩნდა ბოლო!..

რა რემონტი, რის რემონტი?! ამაზე არც მიფიქრია, დავკეტე ბინა და ზაფხულის ერთი თვე, ნაცნობობითა და წვა-დაგვით ნაშოვნი საგზურით, ზღვაზე გავატარე. რემონტს საერთოდ არ ვაპირებდი მანამ, სანამ ჩემი თვალით (უფრო სწორად — ხელით) არ დავრწმუნდი, რომ ბინის 6 კარიდან ოთხი საერთოდ არ იღებოდა, გათბობის სისტემაში სახინჯად გაშვებული წყალი მუხლამდე იდგა ოთახებში და ყოველი ფეხის გადადგმაზე ზღვის ტალღების ალერსიან ჭყლოპინს მაგონებდა!.. ონკანიც გავსინჯე, ზევიდან არაფერი — წყალი რიხინ-რიხინით ჩადიოდა ნიჟარაში, მაგრამ, თურმე, ქვევით ხდებოდა, რაც ხდებოდა: მილებს სწორად არ ჰქონიათ მიერთებული თავი და მეზობელს ახალგარემონტებული ბინის ჭერი ხელახლა გასაკეთებელი გავუხადე!.. ხოლო როდესაც, წყლის დაშრობის შემდეგ, ოთხივე ოთახში პირწმინდად აიყარა პარკეტი, გადავწყვიტე, პატარას შევარემონტებხავით-მეთქი.

მას აქეთ „განმიკრთა მე ძილი და შვება!“ კოოპერატივების კარებთან ვათენებდი და ვაღამებდი!.. დილიდან საღამომდე ვეღრიჰებოდი ორასიოდე ცალ პარკეტსა და ათიოდე კვადრატულ მეტრ მოსაპირკეთებელ ფილას — კაფელს. არ ვეშვებოდი იმიტომ, რომ არ მჯეროდა მათი პასუხისა — „არა გვაქვს!“ — „როგორ, უძრაობის პერიოდში თუ იყო, ახლა როგორ შეიძლება არ გქონდეთ?“ — ვეკითხებოდი მე. ბოლოს ერთმა ღვთიან-მადლიანმა მიმასწავლა, სად მეშოვა კაფელი! ახლა ამის გამხელა თამამად შეიძლება, რადგანაც თვითონ პარტიამ ბრძანა: სოციალისტური შრომის პრინციპის რელსებიდან საბაზრო ეკონომიკის რელსებზე გადავიდეთო, და მეც გადავედი. ალბათ მიმიხვდით: შავ ბაზარს მივაშურე! დავდივარ ბაზარში, რომელსაც, მიუხედავად იმისა, რომ შიგნით ყველაფერი ფერადია, „შავს“ ეძახიან და ვფიქრობ კვადრატულ მეტრ კაფელში 25 მანეთზე მეტი რომ მივცე, ცოლი სახლში არ მიმიშვებს-მეთქი!

— 100 მანეთი, ჯიგარო! — მითხრა ფასი მოძმე ერის ულირსმა წარმომადგენელმა.

— ხუთი კვადრატული მეტრი? — ჩავეძიე მე.

— არა, ერთი! — მიპასუხა მან და თან ისეთი თვალებით შემომხედა, რომ უეჭველად ფიქრობდა: „შენ მართლა უძრაობის პერიოდი ხომ არ გგონია, მასალა რომ ეყარა?! წავიდა ის დრო, ჩვენც გარდავიქმენით!“ ხელი ჩავიქნიე და, ის იყო, გამოშორებას ვაპირებდი, რომ ვიღაც ბობოლამ მოაყენა მანქანა და 80 კვადრატული მეტრი კაფელი იქვე იყიდა. გულაცრუებული და, რაღა თქმა უნდა, ხელცარიელი დავბრუნდი შინ! მეორე დღეს აქეთ ვეცი, იქით ვეცი და ადგილობრივი წარმოების უკუთხო, დაგრეხილი, ნახატგაურკვეველი კაფელი ვიშოვე, მაგრამ ასეთი კაფელის გაკეთებაში ახლა ოსტატმა მთხოვა სამჯერ მეტი!

პარკეტის შოვნაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია! სად არ ვირბინე, რა არ „ვიჩალიჩე“, მაგრამ არა, არაფერი გამოვიდა! „ხის მასალა აღარ შემოგვდის რუსეთიდანო!“ — მეუბნებოდნენ ორბორტიან კოსტიუმებში „ჩაშმოტკილი“, მუქსათვალიანი შუახნის კაცები და თან ერთ-ორ სალანძღავ სიტყვას მიაყოლებდნენ მათ მიმართ, ვინც რუსეთიდან საქართველოს გამოყოფა მოინდომა და მე უმასალოდ დამტოვა! ღმერთი, რჯული, ცუდი არავისზე მიფიქრია, მინდოდა მეუღლე და ბავშვები გამეხარებინა ახალ ბინაში შესვლით, მაგრამ, როდესაც ჩემმა ბავშვობის მეგობარმა ნიჟარა ათასი მანეთი დამიფასა, გავედი ბინების შავ ბაზარზე, სადამოსათვის მაკლერი ვიშოვე და ორი კვირის თავზე ჩემი ბინა უკვე ჩემი აღარ იყო!..

— ესენი ისე ბარბაროსულად ეპყრობიან ერთმანეთს, რომ ჩვენი წარსულისათვის პასუხის მომთხოვნი მაგათგან აღარავინ დარჩება!..

ნახ. ზ. ფორჩხიძისა

P. S. რა თქმა უნდა, ახლობლებში ის არ მითქვამს, მასალები ვერ ვიშოვე და იმიტომ გავყიდე-მეთქი, ადგილის უვარგისობა მოვიმიზეზე და, წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება, როდესაც ნათესაობამ, რომელიც თურმე ჩემი რიდით არ მეუბნებოდა აქამდე ამ ნაკლს, ერთიათჯერ მაჯობა ჩემი ბინისა და ადგილის ძაგებაში!..

ეჰ, ამისთანა ბინას ისევ ჩემი ქოხმახი ვამჯობინე! ვზივარ ახლა შიგ და ველოდები ისევ... უძრაობის პერიოდს! როცა დაიყრება მასალები, მაშინ ვიყიდი ბინას! მანამდე კი, მანამდე ფულს შევაგროვებ!.. შენ რას იტყვი, მკითხველო?!



ზურაბ კუხიანიძე — 60



მეგობრული შარჟი თენგიზ გოგოლაძისა

ავტობიოგრაფია

დავიბადე ათას ცხრაას ოცდაათ წლის სექტემბერს,
ცხოვრებაში მოვსწრებივარ ძირმწარე დღეს ბევრზე ბევრს!..
ია-ია ადრე წასულ დედის თვალებს მაგონებს,
აღდგომა დღეს მის საფლავზე წითელ კვერცხებს ვაგორებ! —
დღეს ამ საქმეს არვინ გვიშლის, დგას გარდაქმნის ხირბილე,
ერთ დროს მსგავსი ამბებისთვის ბევრი გააციმბირეს!..

თორმეტი წლის რომ შევიქენ, შემომიჩნდნენ ჰინკები,
ჩემთვის ჩუმად ვბუტბუტებდი, თავს საექვოდ ვიქნევდი.
ლექსი თავს რომ წამართმევდა, გავურბოდი მეგობრებს,
ნატალია ბებიას კი გათვალული ვეგონე!..

ბატონ სიმონ ჩიქოვანის ხსოვნა მუდამ დამრჩება,
„მნათობში" რომ სულ პირველად ლექსით გამომაჭენა!
ლექსი გულში ჩავიკარ და მივეფერე, ვით ირემს,
მერე ველარ გავუძელ და ჩემთვის ჩუმად ვიტირე!..
ოცდაექვსის როცა გავხდი, გული გავიაბედე,
გამომცემლის დახშულ კარის შეღებაც კი გავბედე!
პირველ წიგნის დიდ სიხარულს, ვინაც იცის, გამიგებს —
თითქმის ყველა ეგზემპლარი გზა-გზა ჩამოვარიგე!

კაცი რას არ მოესწრება ამ ცხოვრების გნიასში! —
„უკვდავებაც გავინაღდე" ენციკლოპედიაში!
სამოცი წლის გავხდი, ჰოდა, ნეტავ, რა მაღიღინებს? —
კედლის კალენდარში ჩემი „ნეკროლოგიც" ვიხილე!

სწრაფად მიქრის ცხოვრება და კრთიან კარ-მიდამონი,
არასოდეს შეხებია გულს ცდუნება მამონის.
იმერეთის ტყემლებია, ჩემში თუკი ანთია,
მადლობა ღმერთს, ჩემთვის ბევრჯერ თეთრად უკიანთიათ!
ბროწეულის ყვავილები მეჩვენება ჭადადა,
სულს მინათებს წყალწითელა, რიონი და ჭაბათა!..
დრო გარბის და სხვა რომ ამბობს: „ხან დღეა და ხან ღამე",
მე ვიძახი: „დაღლილი ცა ახამხამებს წამწამებს!"
მომწონს კაცი, როცა ღვიურ ყანას გაამორილებს,
საქართველოს სადღეგრძელოს მერე შესვამს ბოლომდე!
საქართველოს დღეს რომ უჭირს, ეს დრომ დაახურათა!
მზად ვარ რომ მის ციხის კედლებს ჩავეკირო ზურაბად!
რა ვუყოთ, რომ თმაში თეთრი ბლომად გამომერია?!
მადლობა ღმერთს, ორიოდე ჩემს სტრიქონსაც მღერიან!
ნუ დამძრახავთ: „რაც თქვი, ძმაო, რატომ თქვიო კაფიად?!"
აი, ჩემი, აი, ჩემი ა ვ ტ ო ბ ი ო გ რ ა ფ ი ა!

რა ვუყოთ, რომ ჩემი სიტყვა ზოგჯერ ქუხილს ირ იწვევს!..
მო ;ითხვით და ნახვის ნატვრით — ზურაბ კუხიანიძე.

საუბარი მფრინავ თეფშზე

გზად ნაცნობი
შეხვდა ნაცნობს
და შორიდან ახარა:
— დაინახე გუშლამ, კაცო?!
— დავინახე, აპა, რა!
ცაში გაკრთა,
როგორც ელვა!..
— დახტურ, ჩემო პაპულა!
— მერე უცხოპლანეტელმა
თვალი ჩამიპაჭუნა!..

— მერე, მერე?!.
— ჩამომძახა: —
„ქართველებო,
ქვეყნად, ვითომ,
ამისთანა
მართლაც რა ხართ,
თქვენს ცას
რომ ვერ ვშორდებითო?!"

ჩემო მატრონა!..

ქალთან — არაო,
ღვინო კმარაო,
თამბაქო? —
უფრო დარდუბალაო!..
აბა, მარილზე
გალმა გატოპვა
ძლიერ ადრეა,
ჩემო მატრონა!

ორი შოშია

ლურჯ სათიბის ბოლოშია
გადვეყარე ორ შოშიას.
ერთმა უთხრა მეორესა:
„ბალახს ვეძებ ოშოშიას! —
წამლად მინდა,
მოხუნთქული
შეხვდა ჩემს ბარტყს —
კოკოშიას!"

მეორემ თქვა:
„ეჰ, მოგიწევს,
დაო, დადარდიანება! —
ოშოშია წამლისათვის
მოსპეს ადამიანებმა!"

„მაშინ,
მაყვლის წვენს შევასმევ,
ვენაცვალე ქოჩორშია!..
ალალ იყოს,
მათ სატკივარს
თუ უშველის ოშოშია!"

იქნებ ვინმემ...

ბევრ რამეზე მსურს ვიყვირო,
ხმა რომ მისწვდეს
ცად იესოს!..
რა ვქნა,
ვილაც მემუქრება: —
ვუხმობ მიქელ-გაბრიელსო!
მაგრამ მაინც დავიყვირებ,
თუნდაც დანა ამილესონ! —
იქნებ, ვინმემ
მკითხოს: კაცო,
ნეტავი, რა გაყვირებსო?!

წყაროსთან

გზისპირ,
წყაროსთან
გოგოს ნინველას
წყალი მივართვი,
თან ვთქვი: „ინებე!
უმცროსს ეკუთვნის
წყალი პირველად,
რადგან არ ჰყოფნის
მას მოთმინება!"

ჩაიქირქილა
მოხუცმა ვანომ:
„იმე, ხმა მესმის
თითქოს უცხოსი!
იმფერი დრო დგას,
ჩემო იმანო,
რომ ყველაფერი
არის უფროსის!"

მსგავსს რომ ნახავთ!..

ზოგი ცხოვრობს უბედობით,
ზოგი კიდევ — ბედითაო!
გზას იკაფავს ზოგი თოფით,
ზოგი — ავ სიყბედითაო!
თავს იწონებს ზოგი ახალ
ძვირფას ოქრომკედითაო,
ზოგი — ქისით, ზოგი — მაღალ
სკამით, ზოგიც — ბეჭდითაო!..
ამდენ ბრიყვს და
ამდენს აზვარს
როგორ გინდა ეჭიდაო?!
თუ გარისკავ,
მსგავსს რომ ნახავ,
უნდა დასდო ბეჭითაო!

ოცნებები მირჩევნია!..

ვაი, სანამ შევურიგდეთ
იმის რიგს და ამის რიგს,
როცა უკვე განახლების
და გარდაქმნის ქარი ქრის!..
რიგგარეშე, იცოცხლე-თქვა.

ზოგნი ჯიქურ გადიან,
აგერ, უკვე შვიდჯერ ათი
შუმი წელიწადია!
არც ღვთის კალთა დაუზოგავთ
და არც ხალხის ხაზინა!..
ბევრმა თავის ბურჯინ-ფუთა
ურცხვად გაიხაზირა!..
ზვედრი, ერთი კი არა და,
თითოს მიაქვს ხუთ-ხუთი,
არ სჭირდებათ ალაყაფთან
მოლოდინში ყურყუტი!
მიითვლიან. ზოგ-ზოგს მიაქვს
ბეჭით. ზოგს — ურიკებით!..
ვაი, როგორ გაგვიმრავლდა
ეს ურიგო რიგები!..
ღმერთო, სად ხარ, ყველას
თავის ზვედრი ჩამოურიგო, —
მე მარტოდენ ოცნებები
რომ მარგუნე ურიგოდ?!.
მაპატიე, რომ შევბედე
უისრომ ... უფარომ! —
ოცნებები მირჩევნია
რიგში დგომას, უფალო!

დევების ლხინი

ძველ წიხქვილში ცხრათავიან
დევებს ლხინი გაემართათ!..
კაცის ხორცის
მწვადებს წვავდნენ,
ქოფაკები ედგათ კართან!..
ხაპით სვამდნენ
წითელ ღვინოს
და მღეროდნენ ალთა-ბალთა.
მიმიწვიეს სანადამოდ:
„ჰე, გამვლელო,
დიმო! დიმო!"
— „არა-მეთქი,
აგერ ერთი
კაცი ვიცი,
სისხლს სვამს კაცის!
მოუხდება
მაგ თქვენს სუფრას,
გინდ შეწვით და
გინდ ჯვარს აცვით!"
შეეშინდათ: —

„წადი, წადი,
გაუდექი
მაგ შენს გზასო!
კაცი კაცის
სისხლს რომ სვამსო,
იგი არც ჩვენ
დაგვზოგავსო!"

სერი-სერ

დაფეთებულ კურდღელს ყეფა
კვალში მისდევს სერი-სერ!..
ჩემთვის მწარედ მეცინება
ადამეშმობის სეირზე!

ლექსად წერო!..

გარდაქმნაზე ლექსად წერო,
ლექსად წერო ან არ წერო, —
ნიშნავს, — ცაში შეწვა წერო,
ანდა გახდე სანაწეროდ!

სადაც დაძრწის!..

ყოველ სოფელს,
ყოველ ქალაქს —
ერთი განა,
ორი განა?! —
ჰყავს ნერვების გასაქარად
ქალი,
ქალი ჰორიკანა!

ზოგჯერ სით წამოუფრენს,
ზოგჯერ — ცივი ზენაქარი,
ქალის ჰკუას ხშირად უსწრებს
მწარე,
მწარე ენა ქალის!

იწურება ჰირის ოფლით,
ჰოდა, ენით რას არ ცდილობს!..
ქალის ჰორი არც კი გვყოფნის
კაცებს,
კაცებს სასაცილოდ!

მოედება სოფელს ანწლი,
გაცრის,
გაზრწნის შმორი ქალაქს, —
სადაც დაძრწის,

სადაც დაძრწის
კაცი,
კაცი ჰორიკანა!

ნინოს სადღეგრძელო

გაუმარჯოს ნინოსა,
ოღონდ არ ეწყინოსა.
როცა სერგო ბაბუა
შესვამს წითელ ღვინოსა!
ვის რა უნდა. შვილოსა,
ჰინჰრაქას თუ სპილოსა?!
ბაბუმ საქართველოზე
ტკბილად იღიღინოსა!

ჩინოს ღვინო

ჩინოს ღვინო არ „ევასა",
მიტომ არის არევასა!
არც აპირებს დალევასა.
არც სუფრიდან მალე წასვლას,
და არც კიდევ თამადობის
სხვაზე გადაბარებასა!

გოგოს ნათქვამი

ლელე-ლელე დავდიოდი,
ხბოს ვეძებდი ბოჩოლასო;
განა მართლა ხბოს ვეძებდი,
ბიჭს ვეძებდი ქოჩორასო!
უი, დედა, არ წამომცდა,
ან რას ვამბობ, ბოშო, რასო?!
აგე, მინადორა მისმენს,
რაცხას მწარეს მოჰორავსო!
ჩუმად! არვინ გაგვიგონოს.
ვინ დაეძებს ბოჩოლასო?!.
ლელე-ლელე დავდიოდი,
ბიჭს ვეძებდი ქოჩორასო!

„რომ მოვა შემოდგომა"

ვერავისზე ვერ გაგცვალე
და ვმღეროდი როგორღაც:
„მოგიტაცებ, გენაცვალე,
რომ მოვა შემოდგომა!"
იწურება ნოემბერი,
ჰა, ზამთარიც მოგორავს!..
მე კი მაინც ისევ ვმღერი:
„რომ მოვა შემოდგომა".

კალეიდოსკოპი

ზოგჯერ მწარე შხამია,
ზოგჯერ ოქროს გობია,
ზოგჯერ ტკბილი წამია,
ზოგჯერ შუბლზე კოპია!..
ეს ცხოვრება, ძამია,
კ ა ლ ე ი დ ო ს კ ო პ ი ა!

შოვში

არც არაყი,
არც ხაში,
ლუდიც არ გ ვ ე შ ო ვ ე ბ ა
და ამნაირ ყოფაში
ნეტავ, რა გ ვ ე შ ვ ე ლ ე ბ ა?!

ზღაპარ იყო...

ჩაგვამწარეს,
რაც ვინატრეთ
და ცხოვრება ისე წახდა —
ჩვენი ბედი და სიმართლე
სხვისი დასაცავი გახდა!
ჰირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა,
ბოცომკალი შესეოდეს
ჩვენი მომდურავის
სამკალს!
ზღაპარ იყო,
ზღაპარ იყო,
ჰალას მტერი
ჩამკვდარიყო!..

ჩვენი თავი
მარტო ჩვენი
დასაცავი
გამხდარიყო!

ბუხარს ცეცხლი შევუკეთოთ!

ვილაც ბარით გველირება,
აიწყვიტეს კრეტინებმა!..
ნეტავ, რა გველიღინება,
იმ დროს,
როცა გვეტირება?!
ჩვენ ხან კლდე ვართ,
ხანაც — შეთე,
ხან მამაცი მეტივე ვართ!
ჰოდა, უნდა გავძლოთ! —
ჩვენს მტერს
მალე დედა ეტირება!
ბუხარს ცეცხლი
შევუკეთოთ,
დოქით დავცლვათ
ხალი ღვინო!
გაგვიხადე საქმე,
ღმერთო,
სამღერლად და
სალიღინოდ!

სპილო და ბუზი

ბუზს ზამთარმა
სპილოს ყურში
მოუსწრო და...
იქვე დარჩა!..
როს აყვავდა
თეთრად ნუში,
ბუზმა იწყო
ფრთების გაშლა!..

გამოფრინდა გარეთ
ხელად,
გაისწორა მზეზე
ფრთები
და მადლობა
მოახსენა
ზრდილობით და
მოწიწებით!

იბზუილა მერე
დიდხანს,
შეამჩნიეს იგი
გვიან!..
სპილომ უთხრა:
— ვერ გცნობ, ვინ ხარ,
რა გვარის ხარ,
ან რა გქვია?
შენი, ძმაო,
არც შემოსვლა,
არც გამოსვლა გამიგია!

ილუსტრაციები
ჯემალ ლოლუასი

ბორის დარჩია

ვმკურნალობთ წყევლით!

დღეს. [illegible] გამოღვიძებისა და კაცთმოყვარული, სამართლიანი იდეების აღორძინებისას, არ შეიძლება უდიდესი კმაყოფილებისა და სიამაყის გრძნობით არ მივილოთ თავისუფლების წყალობით მოპოვებული იმ მივიწყებული თუ ულმობლად გადაგდებული მამაპაპური ადათ-წესების განახლება და ხალხის სამსახურში გრიალით ჩაყენება. რამაც ისინიც კი გამოაცოცხლა და დოვლათის შექმნის სანეტარო გზებზე დააყენა, ვისაც ადრე ხელის განძრევა ეზარებოდა, ანდა ბედნიერების მოსაპოვებლად გული ტოტალიტარიზმის კანონებით აკრძალული საქმიანობისაკენ მიუწევდა!

ვაი, რა სიბნელეში ვიყავით! — წლებს ვიწყვეტდით და რა ფულებს ვფლანგავდით ელსადგურების მშენებლობაში მაშინ, როდესაც გვერდით თურმე იმდენი ბიოდენებით დამუხტული ექსტრასენსი გვყოლია, მთელ მსოფლიოს უკლებლივ რომ გააჩახჩახებს!

და აი, ახლა კიდევ ერთი მიღწევა: ამას წინათ გავიგეთ, რომ კოოპერატივ „იბერიაში“ დიდი წარმატებით დაუნერგავთ **„მსოფლიოში ყველაზე უძველესი მეთოდი — მკურნალობა შელოცვით“**.

რას არ მისწვდა მეცნიერება! როგორც იუწყებიან, **„უკვე დამტკიცებულად ითვლება, რომ შემლოცველი წარმოადგენს გამტარს ფსიქოენერგეტიკულ ველსა და ავადმყოფს შორის, ხოლო შემლოცველის სიტყვები კი არის კოდი, გასაღები ამ ფსიქოენერგეტიკული ველისა“**.

მერედა, კომბინირებული მრავალფეროვნებით აღბეჭდილი მკურნალობის რა ფართო ასორტიმენტია გამოყენებული — **„ბიოდენები პლუს შელოცვის დიდი უნარი... ფიტოთერაპიის ჩათვლით“!** საამაყო ქართველი მანდილოსანი ექსტრასენსი **„თავის დამზადებულ ხსნარებს და მალამოებს ჩუმაკის მეთოდით მუხტავს ხელებიდან გამომდინარე ბიოდენებით და თან ულოცავს ამ წამლებს, რაც მათ უფრო მაღალეფექტურს ხდის. ცხადია, ამდენ ამბავს ვერც ერთი ავადმყოფობა წინ ვერ დაუდგება!“**

ჰოდა, შელოცვას რომ ამდენი შეუძლია, რატომ არ უნდა გამოვიყენოთ მისი მეორე მხარე — მკურნალობა წყევლით?! განა წყევლა შელოცვაზე ნაკლებ ძველია ან ნაკლებ ეფექტური? გავიხსენოთ თუნდაც „გადაცემა ხატზე“. მისი ძალა და სამართლიანობა ბებიაჩემს თავისი თვალით უნახავს: მის მეზობელს, თურმე, ვიღაცამ სამზარეულო სახლი დაუწვა, რომელიც მეოთხე კანში ამოსული აბრეშუმის ჭიით ყოფილა გამოტენილი. ამდგარა ეს კაცი და სრულიად სამართლიანადაც თავისი დამღუპველი ხატზე გადაუცია: ღმერთო, გეხვეწები, ჩემი სახლის დამწველი ისე დაალპე და იმდენი მატლი დაახვიე, რამდენი ჭიაც შიგ დაიწვაო!

ერთი წელიც არ იყო გასული, მდინარე სუფსამ რომ გამორიყა ორი კვირის დამხრჩვალი და მატლებდასეული მახლობელი სოფლის მაცხოვრებელი ერთი ხანში შესული, ცალთვალა კაცი, რომლის შემკრთალი მეზობლები გაკვირვებული ამბობდნენ: ვერ წარმოგვედგინა, თუ ამას რაიმე ავკაცობის ჩადენა შეეძლოო! მეტის თქმას კი ვერ ბედავდნენ, ან რა უნდა ეთქვათ, ფაქტი წინ ჰქონდათ!

რამდენი ბაბუა და პაპა ყოფილა ძველად ამქვეყნად და, ალბათ, იშვიათად თუ გამოერეოდა ისეთი, ერთი-ორი ამგვარი შემთხვევის მომსწრე ან გამგონი მაინც არ ყოფილიყოს!

დაწყევლის, სახელდობრ, ხატზე გადაცემის ეს მეთოდი უაღრესად საჭირო და ზედგამოჭრილი იქნება ჩვენი დღევანდელობისათვის, როდესაც ასე მასშტაბური გახდა და ლამის ეროვნული ფენომენის სახე მიიღო ერთმანეთის ღრღნამ და კვლამ!..

ყველასათვის ცხადია, მოწინააღმდეგის, თუნდაც მოყვასის, განადგურების ამჟამინდელი ბუმი დიდ დროს, ენერგიასა და სახსრებს მოითხოვს, რაც შეიძლება ერის კეთილდღეობას მოხმარდეს!

მაგალითად, გაწყენინა შენმა თანამშრომელმა, მეზობელმა, ამხანაგმა, ანდა არც არაფერი დაგიშავა, პირველად ხედავ მას, მაგრამ რაღაც თვალში არ მოგდის! რა თქმა უნდა, უმალვე შენში მძლავრად აღიძვრება სურვილი მისი „ჭკუაზე მოყვანისა“, დაცინვის, გალახვის, მიწასთან გასწორების, სულაც მოსპობისა! ახლა მეოცე საუკუნის ბოლოა, რაინდობის დრო წასულია და ამას მკლავის სიძლიერით ვერ მიაღწევ! საჭიროა იარაღი — დანა, რევოლვერი, ავტომატი, ბომბი!.. მართალია, ესენი მაინცდამაინც ძნელი საშოვარი არ არის, მაგრამ საკმაოდ ძვირია!

კარგი, ყველაფერი ეს მოაგვარე, გულის საწადელს მიაღწიე და ეს შენი მოწინააღმდეგე თუ მოყვასი იმქვეყნად გაისტუმრე, ყველა შემთხვევაში, ვინც უნდა იყო შენ, თავს საფრთხეში იგდებ! თუ ათიდან არა, ოციდან ერთი შემთხვევა ხომ მაინც არის დანაშაულის გამოვლენისა და დაპატიმრებისა? კარგი, არ დაგხვრეტენ, ისიც ხომ ხდება, 10-15 წელს უსჯიან და მთელი ორი წლის განმავლობაში თავს პატიმრობას ვერ აღწევენ! ერთი წელიც რომ მოგისაჯონ და გაზეთში დაწერონ, ღირსეულად დაისაჯაო, განა სასჯელი არ არის?

ჰოდა, ყველა ამ ხარჯებისა და საშიშროებისაგან გაგათავისუფლებთ ჩემი კოოპერატივი! მოხვალთ ჩვენთან, მოიყვანთ ბატკანს ან მამალ ინდაურს (ზოგჯერ ყვინჩილაც საკმარისი იქნება, უკიდურეს შემთხვევაში — შემწვარი გოჭიც), გადაიხდით 30-დან 50 მანეთამდე, იმისდა მიხედვით, რამდენად წონიანი კაცის წინააღმდეგ იბრძვით, ანდა რა ზომის დასახიჩრებას ითხოვთ (აქვე შევნიშნავთ: ისიც სათქმელია, ეს ბატკნები, ინდაურები, გოჭები და ყვინჩილები მნიშვნელოვნად აამაღლებს ჩვენს მძიმე სასურსათო მდგომარეობას!).

მე მეყოლება უმაღლესი დონის მაწყევარი თანამშრომლები, აი, ისეთები, ნოდარ დუმბაძის გმირი ქალი, ოლღა ბებია რომ იყო, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ თუ ოლღა ბებიამ ერთხელ ზურიკელას გაუმეღავნა, მე რომ გწყევლი, ბებია, ჩემი ძუძუები გლოცავენო, — ჩვენთან ეს შემარბილებელი საშუალებანი თავიდანვე გამორიცხული და სხვა შესაბამისი ორგანოებით გამკაცრებული იქნება!

რასაკვირველია, გვეყოლება დიპლომიანი ექსტრასენსები (ამ დიპლომის აღება უსაშველოდ ძვირი არ ჯდება, თუ ფასი არ მოემატებია, 500 მანეთი ყოფნის!). გამოვიყენებთ ბალახებს, ხსნარებს, მალამოებს, მაგრამ ძირითად სამკურნალო იარაღად მაინც წყევლა დარჩება! რაც შეეხება ფსიქოენერგეტიკულ ველს, გამტარებს, კოდებს, ჩუმაკისა და სხვათა მეთოდებს, ფიზიკის ცოდნა სულაც არაა საჭირო, ისედაც მისახვედრია, ესენი თავისთავად წარმოიქმნება და თავზე საყრელად იქნება!

მე მგონი, ბევრი მტკიცება საჭირო არაა. ეს მეთოდი რამდენად მშვიდობიანად, უნივერსალურად, უხიფათოდ, ინტელექტუალურად რეგულირებას გაუკეთებს ჩვენს გამოფხიზლებულ ეროვნულ სიძლიერეს — ერთმანეთის შეჭმასა და ხოცვას!

განა ის ცოტაა, მე, კოოპერატივის თავმჯდომარე, და ჩემი მაწყევარი (ჯვარი მწერია!) თანამშრომლები ქართველები რომ ვართ და კაი გან ფულს გამოვკრავ ხელს? განა მტკიცება უნდა იმას, რომ რამდენადაც მდიდარია თითოეული მოქალაქე, იმდენად მდიდარი და ძლიერია ერიც?! მოდი ახლა და, ნუ დავწვრილმანდებით და ნუ ვილაპარაკებთ ფულის შოვნის გზების მეცნიერულ და მორალურ მხარეებზე! მთავარი ისაა, კლიენტები და ჩვენც კმაყოფილი ვიქნებით და თუ ჩვენ მოვრიგდებით, სხვას რა ხელი აქვს?!

ახლა ყველაფერი რეკლამაზეა დამოკიდებული! დიდი იმედები გვაქვს ინტელიგენციის, განსაკუთრებით, ჟურნალისტებისა! ყველაფერი მათ აქტიურობასა და დამაჯერებელ ტონზეა დამოკიდებული!

გთხოვთ გვეწვიოთ ჩვენს გამაჯანმრთელებელ წყევლის კოოპერატივში! იჩქარეთ, იჩქარეთ, მოწინააღმდეგემ არ დაგასწროთ მოსვლა!

ღია წერილი ჯორჯ ჰიუიტს

ვაი, ჩვენს ყოფას! — რა მესმის
(ვაისთან ერთად ვთქვი უიც!)
რას გვემართლებით, რას გვერჩით,
რა დაგიშავეთ, ჰ ი უ ი ტ?!

აფხაზი ხალხი (ღმერთია
მოწამე ჩემი ფიცისა)
კი იყო ღირსი ცოტათი
თქვენზე უკეთეს ხიძისა!

მთელი ქვეყანა შენატრის
მხარეს, ესოდენ სანუკვარს,
თქვენ კი პირველი უცხო ხართ,
ვისაც ქართველი არ უყვარს!..

სიყვარულს ვინ გთხოვთ, ბატონო,
რა ლაქაც გნებავთ მოგვაცხეთ!
გული იმაზე შეგვტკივა,
თვითონ აფხაზეთს რომ არცხვენთ!

რა კალამსობა აგიტყდათ,
რა დიაცური წიწინი?!
იმ თქვენს დაგზავნილ ბარათებს
აგერ ვკითხულობთ სიცილით!..

ამდენ სიცრუეს რომ ჰყვებით,
გულში რა ჯავრი დაჯარდა?!
შორიდან რად იბოლმებით, —
ეგ ხომ წესია ლაჩართა?!

ან სადაური განსჯაა,
ან სადაური სიმართლე,
თავისუფლების წყურვილი
„ფაშიზმად“ რო მოგვინათლეთ?!

რასაც უტიფრად კადრულობთ,
არ იკადრებდა ტყიურიც!
ანონიმობაც გიცდიათ,
ჰაიტ, ეშმაკო ჰ ი უ ი ტ!

ჩვენს თავს არ ვჩივით, მსოფლიომ
მშვენივრად უწყის, ვინცა ვართ!
გვწყინს: აფხაზებმა სამოყვროდ
ასეთი როგორ გიწამათ?!

აბა, ბატონო ჰ ი უ ი ტ,
როდის გვიმზადებთ მორიგ კვანტს?
ასე რამ გაგაბოროტათ, —
კაცი იქეცით ჰორიკნად?!

რა გინდათ, რად კბენთ, რად გესლავთ
ჩვენს ხალხს, ბრძენსა და ეროვანს?
ჯ ო რ ჯ! ჯ ო რ ჯ ი მაინც არ გერქვათ,
ჯ ო რ ჯ ი ა საქართველოა!..

ხომ მიხვდით, ბოლოს და ბოლოს,
თუ თქვენთვის რად მოვიცალეთ?! —
უპირველესად ყოვლისა
ს ა ხ ე ლ ი გამოიცვალეთ!..

ეგ არის ჩვენი სათქმელიც
და ჩვენი რჩევაც დროული:
თქვენს ხალხს მიხედეთ, თქვენს სამწყსოს,
ქართლს კი ქართველი მოუვლის!

ოთარ შალამბერიძე



უსიტყვოდ

ნახ. ბ. ზუბაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდაქმნილი ნეკროლოგი

რესპუბლიკის ადრინდელი წამყვანი საზოგადოება, ძველი, სამოქალაქო ავანგარდის ლიდერები, დღევანდელ პერსონალურ პენსიონერთა ერთი ნაწილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ მათ რიგებს გამოაკლდა სოფლის მეურნეობის ღვაწლმოსილი მუშაკი, მრავალი ორდენის, მედლის, წერილობითი და სიტყვიერი მედლობების კავალერი, მრავალგზის დეპუტატი, რესპუბლიკური და საკავშირო ყრილობების დელეგატი, სესიებისა და საზეიმო სხდომების მონაწილე — ვაშო ტაშოს ძე ტყაპუნაშვილი.

ამხანაგი ტყაპუნაშვილი მათ რიგებში „ვპერიოდ-ურას" აყვავების პერიოდში ჩადგა. მისი შრომითი საქმიანობა დაიწყო კოლმეურნეობის საერთო კრებაზე. კოლმეურნეობის თავმჯდომარის, პარტბიუროს მდივნის და რაიონის ცენტრიდან მოსული ამხანაგის მოხსენებების დროს ნიჭიერმა ახალგაზრდამ, განსაკუთრებულად ხმოვანი და ხანგრძლივი ტაშის წყალობით, მაშინვე მიიქცია უფროსი ამხანაგების ყურადღება და სულ მალე ჯერ გამგეობის კრებაზე, ხოლო შემდეგ რაიკომის ბიუროს სხდომაზე იქნა მიწვეული ჯერ რიგით, ცოტა მოგვიანებით კი წამყვან ტაშის დამკვრელად.

ამავე დროს ვ. ტ. ტყაპუნაშვილი მთელი მონდომებით, ბეჯითად იწყებს ლოზუნგებისა და აღფრთოვანებული შეძახილების ტექნოლოგიის შესწავლას, ცხოვრებაში მის გამოყენება-დამკვიდრებას. პარალელურად ამთავრებს წერა-კითხვის უცოდინართა სასწავლებელს, რის გამოც ის პირველივე არჩევნებისთანავე ბიუროს სრულუფლებიანი წევრი ხდება.

სამ წელზე მეტხანს ამხანაგი ტყაპუნაშვილი გულმოდგინედ და ნაყოფიერად ემსახურება რაიონის წინსვლის საქმეს. ამ ხნის მანძილზე მან გამოიმუშავა ათასამდე ტაშდლე და ღირსეულად იქნა დაწინაურებული რესპუბლიკური მნიშვნელობის სხდომების მუდმივ წევრად. სწორედ აქ, ფართო მასების ყურადღების ცენტრში, შლის ფრთებს აქამდე უცნობი ნიჭი ორატორისა. იგი მოულოდნელად ავად გამხდარი თავისი რაიონის მევენახე-დელეგატის მაგიერ გამოჰყავთ მოხსენებით. გამოსვლის დამთავრებისთანავე ტყაპუნაშვილს ერთხმად ირჩევენ მოახლოებული საკავშირო ყრილობის დელეგატად. ყრილობიდან დაბრუნებულს იწვევენ ცენტრალურ აპარატში სამუშაოდ, ანდობენ ძელის ჩამორთმევის ურთულეს პროფესიას, გულთბილი მისალმება-მასპინძლობის დარგში. კიდევ რამდენიმე წელიც და, იგი განსაკუთრებულად საპატიო სტუმრების მიმღებ-გამყოლ-გამცილებელი ჯგუფის წევრად ინიშნება.

ვ. ტყაპუნაშვილი ჰრმა ტყვიისაგან განგმირული ჯარისკაცივით ბოლომდე იდგა საერთო საქმის სამსახურში. იგი, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მაშინ როდესაც უცხოელ სტუმარს თოხნის ტექნოლოგიის ურთულეს პროცესს უხსნიდა, თოხის პირით ცხვირშელეწილი და მძიმედ ტრავმირებული დაეცა ვაზის ძირას!..

სამწუხაროდ, ყოველგვარი მცდელობა ტყაპუნაშვილთან თანშეზრდილი დამსახურებული მედიკოსების — ტყაპუნიძის, ვაშიავას, ტაშოევის, ურაოვისა და ვაშანინისა — უძლური გამოდგა. ხანგრძლივი, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ მეგობართა და კოლეგათა რიგებს გამოაკლდა ვ. ტ. ტყაპუნაშვილი და თან გაიყოლა მათი ხსოვნა, ნაოპერაციებში ჩარჩენილი ნემსი, ბამბა, პინცეტი და გამოსამშვიდობებელი ხანგრძლივი, მქუხარე ტაშიც!

ზაზა გურგუჩიანი


ნახ. გ. გვილავასი



ვის დავაბრალოთ?

თუ მოსავალი ვერ მოგვყავს,
თუ პატარაა ხვავი,
თუ ვერ ავავსეთ ბეღლები,
ვის დავაბრალოთ?
— ა მ ი ნ დ ს!

თუ დასნეულდა ვენახი,
არ მოგვცა ღვინის ნამიც,
თუ მშრალი დაგვრჩა ქვევრები,
ვის დავაბრალოთ?
— ა მ ი ნ დ ს!

თუ ფური აღარ იწველის,
ცური დაუჭკნეს ლამის,
ლასლასით დადის თვითონაც,
ვის დავაბრალოთ?
— ა მ ი ნ დ ს!

ნეტავი გულში რა გიდევს,
ნეტავ რის თქმა გსურს ამით, —
შენს უქნარობას, სიბრიყვეს,
რომ სულ აბრალებ ა მ ი ნ დ ს?!

ვილაცა ყურში ჩამძახის,
მუდამ — დღისით და ღამით;
— რად გავიწყდება, ძმობილო,
რომ ჩვენ თვითონ ვქმნით
ა მ ი ნ დ ს?!

ქიზიყელი გემში

სად დაიძინებს ამდენი ხალხი,
ან ვინ გაუშლის ამდენ ხალხს
სუფრას?!
სად არის ახლა ალაზნის ბაღი
ან ბოდბის სიო — სალი და სუფთა?!.
მთელ დღეს რომ ეგრე მიდის და
მოდის,
ვინ მისცა ამ ხალხს ამდენი მოცლა?!
ან მოქნილობა რომ ამკობთ
შოლტის,
ამდენი ქალის არ გინდა კოცნა?!
ამდენ დარჩეულ ვაჟკაცს რომ
ვხედავ,
ფიქრი ცხრათვალა მზესავით
მოჩანს!
კრწანისის ომში გვყოლოდა ნეტავ,
ან — კოლექტივის ვენახში მომცა!

ლერი ბეგიაშვილი
(ქ. სიღნაღის რაიონი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური იუმორი

პაციენტი ეკითხება ექიმს:
— რას ნიშნავს ჩემი დიაგნოზი — ე. ი. მ. თ.?
— ეშმაკმა იცის მისი თავი!

* * *

ჩიკაგოში ერთ-ერთ გზაჯვარედინზე ხალხმრავლობაა.
— რატომ მოიყარა თავი ამდენმა ხალხმა? — იკითხა გამვლელმა, — რა მოხდა?
— არაფერი, — პასუხობს მეორე, — თუმცა ამაში ყველას უნდა დარწმუნდეს!

* * *

— თუ დეკანი თავის სიტყვას უკან არ წაიღებს, — ამბობს სტუდენტი, — მე წავალ კოლეჯიდან!
— საინტერესოა, რა გითხრა ასეთი?
— წადი კოლეჯიდანო!

* * *

ახალგაზრდა უმუშევარმა გოგონამ მიმართა ერთ-ერთ დაწესებულებას.
— რა გეხერხებათ?
— არაფერი!
— სამწუხაროდ, ასეთი ადგილები ჩვენთან უკვე დაიკავეს!

* * *

მასწავლებელი მოსწავლეებს ეკითხება:
— კიბეზე მამაკაცი ყოველთვის მიდის ქალის წინ. ვინ ახსნის, რატომ?
— ალბათ იმიტომ, რომ ქალმა არ იცის, მამაკაცი რომელ სართულზე ცხოვრობს!

* * *

მწერალი მიმართავს ექიმს:
— ექიმო, მიშველეთ რამე! როდესაც შუაღამის შემდეგ დიდხანს ვწერ, მერე არაფრით აღარ მეძინება დილამდე!
— გიცდიათ როდესმე, ძილის წინ წაგეკითხათ ის, რაც დაწერეთ?

* * *

გამომძიებელი: — გეცნობათ ეს დანა?
— რა თქმა უნდა!
— ესე იგი, გეცნობათ!
— როგორ ვერ უნდა ვიცნო, როდესაც თქვენ უკვე მესამე კვირაა, ამ დანას მაჩვენებთ!

* * *

— როგორ გრძნობს თავს შენი ქმარი? — ეკითხება ინგა დიდი ხნის უნახავ მეგობარს.
— იცი, არც ისე კარგად. მთელი დღე აბაზანაში თევზებს იჭერს!
— მოგიწევს ფსიქიატრის მოყვანა!
— ეგ მეც ვიფიქრე, მაგრამ ახალი თევზი ყველაფერს მირჩევნია!

* * *

— რაში გამოიხატება თქვენი საიდუმლოების წარმატება? — ჰკითხეს მენავთობე ჰანსს.
— იმაში, რომ ერთნი პოულობენ ნავთობს, ხოლო მეორენი ამას ვერ ახერხებენ!

* * *

კოვბოი ცხენზე შემჯდარი ავარდა სასტუმროს კიბეებზე.
— რას აკეთებთ?! — იყვირა მორიგემ. — ცხოველთან ერთად სასტუმროში შემოსვლა სასტიკად აკრძალულია!
— აბა, რა ვქნა?! ლიფტში ნჯღრევისაგან ცუდად გახდება! — თავი იმართლა კოვბოიმ.

თარგმნა მანანა ჩოკოშვილმა

— რაზე ჩხუბობენ ეს ქაჩლები?!
— სავარცხლისათვის!

ნახ. ჯ. ლოლუასი

557
8.X 90

7-90
90-534

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიჭიკია ~ ჭიჭიკიადი



ჭიჭიკიას საცხოვრებელი სახლი კეთილმოუწყობელ ქუჩაზე ჰქონდა. მანამ აგზავნა საჩივრები სხვადასხვა ინსტანციებში, სანამ ქუჩის კეთილმოწყობას არ მიაღწია! და, აი, ახალმოასფალტებულ ქუჩაზე ამაყად მოდის ჭიჭიკია! ხვდება მეზობელი და ეუბნება: — ჭიჭიკია, რას ერჩოდი, ბიჭო, შენს თავს, ეს გზა რომ გააკეთებინე?! შენი კოჭლობის ამბავი მეზობლებმა აგერ ახლა, ქუჩის მოასფალტების მერე გავიგეთ! ოღროჩოღრო ქუჩაზე რომ დადიოდი, არაფერი გეტყობოდა!..

— : — : —

ჭიჭიკიამ თქვა: — ჩვენი დირექტორი ისე დაბერდა, შოფერი რომ არ ჰყავდეს, სამსახურსაც ვერ მოაგნებსო!

— : — : —

ჭიჭიკია რომ გარდაიცვალა, მიცვალებულს თავი ნამეტანი დაბლა ჰქონდა. ნათესავებიდან ვიღაცამ თქვა, — თავქვეშ აგური დავუდოთო! ამაზე ცოლმა იკივლა: — რავა. მკვდარი კია, მარა იმისთანა მგრძნობიარე იყო, მაინც გაიგებსო!

შემდეგ ვიღაც ახლო ნათესავმა იქვე მდგარი წიგნების კარადიდან სსრკ ისტორიის სახელმძღვანელო, საკმაოდ სქელი წიგნი, გადმოიღო და თავქვეშ უნდა დაედო, რომ ისევ იკივლა ჭიჭიკიას ცოლმა: — მაგი არა! მაგი მაგას ნასწავლი აქვსო!..

— : — : —

შეზარხოშებულმა ჭიჭიკიამ ქალაქში ავარია მოახდინა. ავტოინსპექტორმა იცნო და უთხრა: — ჭიჭიკია, შე უბედურო, 20 კაპიკი არ გაქვსო?!

— რას მიბედავ, 20 კაპიკი რავა არ მაქვსო?! — იუკადრისა ჭიჭიკიამ.

— ჰოდა, თუ გაქვს, იყიდე „მოძრაობის წესები“ და ისე იარეო! — ურჩია ავტოინსპექტორმა.

— : — : —

საგუშაგოზე მდგომ ავტოინსპექტორს უფროსმა უსაყვედურა: — სვისტოკი რატომ არ გაქვსო?!

— საკუთარი ავტომანქანა მყავს, აგარაკი მაქვს, თბილისში რემონტს მოვრჩი და სვისტოკი რაღად მინდაო?!

— : — : —

ნასვამ მძღოლს ავტოინსპექტორმა უთხრა:

— ბიჭო, რატომ დალიეო?!

— აბა, ხომ არ გადავაქცევდიო?! — უპასუხა მძღოლმა.

— : — : —

ჭიჭიკიამ თქვა: — ტელეფონი ჩვენთან ძალიან ცუდად მუშაობს, მაგრამ ძალიან კარგად იყენებენო!

გივი ოდიშარია

ნახ. ვ. კუციასი



კატა ვერ შესწვდა ძეხვსაო — კოოპერატიულსაო!

КОНТРОЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“ №17 (1819). სექტემბერი. გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადეიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ჭაბუა ამირეჯიბი, ნომადი ბართაია, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა (მხატვარ-რედაქტორი). ნოდარ მალაზონია, ალექსანდრე სამსონია, ბეჟან სიხარულიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე.

ტექნიკური რედაქტორი
ირაკლი დუნდუა

გადაეცა ასაწყობად 1. 08. 90 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 13. 09. 90 წ. ქაღალდის ზომა 60×90¹/₈, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,5. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,9. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, მ. კოსტავას ქ. № 14. შეკვ. № 1738. ტირაჟი 125.000. ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 380008. თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან-მემანქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ» (На грузинском языке). Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. М. Костава № 14.

ფასი 20 კაპ.

ინდექსი 76187